ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1848971

ნომერი: AR1300679

თარიღი : 08.04.2015

გაცემის თარიღი : 21.04.2015

გაცნობის თარიღი : 21.04.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა უზნაძე , N 70 , (ნაკვ.10/21) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- კობა გოგიჩაშვილი პ/ნ 43001005206
- ქარელი ს. ბრეთი

ორგანიზაცია:
- შპს "აგრომეტი" კოდი: 404893727

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- III კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს "სწავლებისა და განვითარების ცენტრი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 202292401
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ზაზა ნემსაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01015024264

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 11034.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 2572.0
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 9002.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 9002.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 7.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 7.0

ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში (სექტორი–დიდუბე), უზნაძის ქ. N70–ში (ნაკვ. 10/21), თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა–ნეგებობების დემონტაჟის ნებართვის ვადის გასვლასთან დაკავშირებით ახალი დემონტაჟის ნებართვისა და სანებართვო მოწმობის გაცემის შესახებ.
საფუძველი – ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა (სარეგისტრაციო ნომერი N 882014429210, 13.08.2014წ.; საკადასტრო კოდი N 01.13.08.010.021);
–ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 20 ოქტომბრის №418268 ბრძანება ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში (სექტორი–დიდუბე), უზნაძის ქ. N70–ში (ნაკვ. 10/21), თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა–ნეგებობების დემონტაჟის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და დემონტაჟის ნებართვის და სანებართვო მოწმობის გაცემის შესახებ.
– საქართველოს ბანკის წერილი N6/9278, 20.04.2015.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 63-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. გაიცეს ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში (სექტორი–დიდუბე), უზნაძის ქ. N70–ში (ნაკვ. 10/21), თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა–ნეგებობების დემონტაჟის ნებართვის ვადის გასვლასთან დაკავშირებით ახალი დემონტაჟის ნებართვა და სანებართვო მოწმობა.
2. დემონტაჟის ვადა განისაზღვროს 2015 წლის 22 აპრილიდან 2016 წლის 22 ოქტომბრის ჩათვლით;
3.დემონტაჟის დროს დაცულ იქნას მიმდებარე შენობების კონსტრუქციული მდგრადობა.

• მშენებლობის დამთავრების შემდეგ ობიექტი მიღებული იქნას ექსპლუატაციაში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

• სამშენებლო დოკუმენტის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს. სამსახური პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ დამოწმებული დოკუმენტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

• თუ ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოები არ შეესაბამება სანებართვო დოკუმენტაციას, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო დამრღვევის მიმართ გაატარებს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით განსაზღვრულ ღონისძიებას.

• დამკვეთი ვალდებულია უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს ან/და თანამდებობის პირის მოთხოვნისთანავე უზრუნველყოს იმ დოკუმენტაციის გაცნობა, რომელიც ამ უკანასკნელმა უნდა იქონიოს სამშენებლო მოედანზე.

• საინფორმაციო დაფა უნდა არსებობდეს სამშენებლო სამუშაოთა წარმოების მთელ პერიოდში და განახლდეს სამშენებლო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, თუ ეს არსებითად ცვლის დაფაზე განთავსებულ ინფორმაციას.

• დამკვეთი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი ვალდებულია შეასრულოს შემდეგი სანებართვო პირობები:

- აწარმოოს მშენებლობა მშენებლობის ნებართვით განსაზღვრულ ვადებში;

- აწარმოოს მშენებლობა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ან/და განაშენიანების რეგულირების გეგმის მოთხოვნების დარღვევის გარეშე;

- აწარმოოს მშენებლობა სამშენებლო დოკუმენტის დარღვევის გარეშე;

- აწარმოოს მშენებლობა სამშენებლო რეგლამენტების მოთხოვნათა დაცვით;

- უზრუნველყოს ძირითადი კონსტრუქციული სისტემის, ინტერიერის საერთო ან/და საზოგადოებრივი სარგებლობის ნაწილების, ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-კომუნალური ქსელების, ექსტერიერისა და მიწის ნაკვეთის ტერიტორიის მოწყობის სამშენებლო სამუშაოების დასრულება;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.